

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია  
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**საიამ საკაბელო მაუნყებლობის  
ლიცენზირებასთან დაკავშირებით  
საკონსტიტუციო სასამართლოს  
წერილობითი მოსაზრება წარუდგინა**

2010 წლის 26 აპრილს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, „სასამართლოს მეგობრის“ (Amicus Curiae) სტატუსით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წერილობითი მოსაზრებები წარუდგინა. ეს უკანასკნელი შეეხება 2008 წლის დეკემბერში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს პარლამენტის

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მიმართ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელს. საქართველოს სახალხო დამცველი ითხოვს „მაუნყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ნორმების კონსტიტუციის 24-ე მუხლის (მედიის თავისუფლება) პირველ და მეოთხე პუნქტებთან შესაბამისობის დადგენას, რომლებიც ითვალისწინებენ კაბელური და მიწისზედა თანამგზავრის მეშვეობით მაუნყებლობის ლიცენზირებას.

საია იზიარებს მოსარჩელის - საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ საკაბელო და თანამგზავრული მაუნყებლობის ლიცენზირება არაკონსტიტუციურია და არ უნდა ექვემდებარებოდეს იმავე სამართლებრივ რეჟიმს, როგორსაც საეთერო ანუ სიხშირული სპექტრის გამოყენებით მაუნყებელი მედია ექვემდებარება.

სიხშირული სპექტრი ბუნებრივად ამონურვადი რესურსია. ეს გარემოება ავალდებულებს სახელმწიფოს ლიცენზირების სისტემის მეშვეობით განსაზღვრული პრიორიტეტების დაცვით გაანაწილოს სიხშირული სპექტრი მედია საშუალებებს შორის. ამგვარი პრიორიტეტიზაცია ყოველგვარ აზრს მოკლებულია საკაბელო და თანამგზავრული მაუნყებლების შემთხვევაში. საკაბელო და მიწისზედა თანამგზავრი არ წარმოადგენს ბუნებრივად ამონურვად რესურსს. ეს უკანასკნელი იძლევა ასობით სხვადასხვა თემატური კონცეფციის მქონე სატელევიზიო და რადიო სადგურის გადაცემის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, საკაბელო და თანამგზავრული მაუნყებლების ლიცენზირების სისტემისათვის დაქვემდებარება ისევე გაუმართლებელია, როგორც ეს ინტერნეტ-მედიის შემთხვევაში ხდება.

საია თავის წერილობით მოსაზრებაში მიუთითებს „ვერძო ტელევიზიის შესახებ“ ავსტრიის კანონზე, სადაც ლიცენზირების ნაცვლად კაბელური ქსელით მაუნყებლისათვის დაწესებულია საქმიანობის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შეტყობინების ინსტიტუტი.